განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 01.10.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სოციოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 30.09.2011, გადაწყვეტილება N85

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლია წულაძე, სოციოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ფლორა ესებუა, სოციოლოგიის დოქტორი,

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	კავკასიის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამა სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) 2011 წლიდან ხორციელდება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პროგრამა შეიცვალა და სოციოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი საბაკალავრო პროგრამა „სოციოლოგია" (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) და მისანიჭებელი კვალიფიკაციაც შესაბამისად მოდიფიცირდა.

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მოცულობა 240 კრედიტს შეადგენს. ძირითად სწავლის სფეროს 120 კრედიტი ეთმობა, დანარჩენი 120 კრედიტი კი - თავისუფალ კომპონენტებს, რომელთაგან ზოგადი მოდულისთვის 60 კრედიტი და თავისუფალი კომპონენტის/დამატებითი პროგრამისთვის 60 კრედიტია გათვალისწინებული. პროგრამაში წარმოდგენილია როგორც სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი, ასევე არჩევითი კურსები, რომელთა წარმართვაზეც პასუხისმგებელია პროგრამაში ჩართული პერსონალი. ამ უკანასკნელის რაოდენობა 45-ს შეადგენს, რომელთაგან 21 აკადემიური პერსონალია.

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას სოციოლოგიის დარგში, რომელთაც ექნებათ ფართო ცოდნა ძირითადი სოციოლოგიური თეორიებისა და ცნებების შესახებ; აღჭურვილნი იქნებიან საბაზო კვლევითი უნარებით, მათ შორის, ეთიკის სტანდარტების ცოდნით, რომელზე დაყრდნობითაც განახორციელებენ სოციოლოგიურ კვლევას რთულ და არაპროგნოზირებად გარემოში, წინასწარ განსაზღვრული მითითებებით. ამასთან, პროგრამა ფოკუსირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ანალიზი, ინტერპრეტაცია, არგუმენტაცია, გუნდში ეფექტურად მუშაობა.

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით, სწავლის რამდენიმე შედეგზე გადის. კერძოდ, სოციოლოგიის ბაკალავრს, სწავლის დასრულების შედეგად:

- აქვს ფართო ცოდნა სოციოლოგიის ძირითადი საკითხების, კონცეფციების, ცნებების, თეორიების შესახებ და შეუძლია მისი გამოყენება სოციალური პრობლემის/საკითხის კონცეპტუალიზაციისთვის;
- შეუძლია ძირითადი თვისებრივი ან/და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება აქტუალური სოციალური პრობლემის/საკითხების კვლევისა და შეფასების მიზნით, წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების შესაბამისად;
- შეუძლია მონაცემების მოპოვება, აღწერა და მათი დამუშავება შესაბამისი პროგრამების გამოყენებით;
- შეუძლია კვლევის შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია, შეფასება;
- შეუძლია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება, მართვა და საჭირო რესურსების გამოყენება;
- იცავს დარგში არსებულ ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებს კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის წარმოდგენისას.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლის მეთოდები მრავალფეროვანი, სწავლის შეფასება კი - 100-ქულიანია. როგორც სწავლებისას გამოყენებული მეთოდები, ასევე შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი სასწავლო კურსების სილაბუსებშია წარმოდგენილი.

სოციოლოგიის პროგრამა ბაკალავრებს უქმნის სოციალურ მეცნიერებებში შემდგომი განათლების საფუძველს და ამზადებს მათ პროფესიული კარიერისთვის. კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს კვლევისა და მონიტორინგის მიმართულებით როგორც საჯარო, ისე კერძო თუ არასამთავრობო სექტორში. კურსდამთავრებულთა დასაქმება შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციებშიც.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ის მიერ აკრედიტაციისთვის მომზადებულ მასალებს. ვიზიტამდე გაიმართა საბჭოს შეხვედრა, სადაც თითოეულმა წევრმა გააზიარა საკუთარი წინასწარი შეფასებები, მიგნებები და საკითხები, რომელთა დაზუსტებაც სასურველი იქნებოდა უშუალოდ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში.

სააკრედიტაციო ვიზიტის დღეს საბჭოს წევრებმა შეხვედრები გამართეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. კერძოდ, ინტერვიუები ჩატარდა როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ასევე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან. სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ინტერვიუები ასევე ჩატარდა სტუდენტებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, კურსდამთავრებულებსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან.

ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტებმა დისტანციურ რეჟიმში დაათვალიერეს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსი.

სააკრედიტაციო ვიზიტისას ექსპერტთა მიერ დაზუსტდა რიგი საკითხები, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ მეტ სიცხადეს მოითხოვდა (კერძოდ, პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან, კონკრეტული კურსების სილაბუსებთან, ინტერნაციონალიზაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.). ასევე, საბჭომ დამატებით გამოითხოვა რამდენიმე დოკუმენტი (კერძოდ, ინგლისური ენის სილაბუსები, საბაკალავრო ნაშრომების ნიმუშები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ცხრილი).

სააკრედიტაციო ვიზიტის დასასრულს, ექსპერტებმა შეაჯამეს და გააანალიზეს ინტერვიუების შედეგები, გააზიარეს საკუთარი შთაბეჭდილებები და დასკვნები. ძირითადი მიგნებები ყველა სტანდარტთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ გააცნო უსდ-ის წარმომადგენლებს. აქვე აღინიშნა, რომ დეტალურ შეჯამებებსა და მიგნებებს, შესაძლო რჩევებითა და რეკომენდაციებით, ექსპერტთა ჯგუფი აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის სახით წარადგენდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ხუთიდან ოთხი სტანდარტის (კერძოდ, სტანდარტები #1, #3, #4 და #5) მოთხოვნებთან და მეტწილ შესაბამისობაშია ერთი სტანდარტის (სტანდარტი #2) მოთხოვნებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დასტურდება, რომ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. ისინი ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს მოცემული პროგრამა.

სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელ დახმარებასა და კონსულტაციას. ასევე, ისინი იღებენ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამასთან, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში და ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. გარდა იმისა, რომ შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილი საათებიც, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სხვადასხვა საკითხზე.

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაც, მთლიანობაში, სათანადო კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ამასთან, პროგრამის ღირსებად შეიძლება შეფასდეს ის, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარკვეულ ნაწილს გააჩნია საერთაშორისო გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთათვის თანამედროვე მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება-გაზიარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ამასთან, როგორც შესწავლილი დოკუმენტებიდან ირკვევა, პროგრამის

განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, პერსონალისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას. აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი, სწავლებისა და სტუდენტთა კონსულტირების გარდა, ჩართულია პროგრამის განვითარების პროცესებშიც.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება რეგულარულ ხასიათს ატარებს. ამასთან, უნივერსიტეტში დაფუძნდა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სასწავლო პროცესში დამხმარე და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს სთავაზობს, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამა უზრუნველყოფილია მისი განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. რაც შეეხება პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ფინანსურ რესურსებს, მათი გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

პროგრამა იყენებს როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. ამ თვალსაზრისით, პროგრამის შემუშავებაში ჩართულია არაერთი დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი და სხვ.). თავად პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების მიზნით. პროგრამის გასაუმჯობესებლად ხდება როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენება. ამასთან, ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. პროგრამის შემუშავების მსგავსად, მონიტორინგსა და შეფასებაში ასევე ჩართულია სხვადასხვა მხარე. კერძოდ, პროცესში ჩართულნი არიან როგორც აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამა იყენებს კოლეგიალურ შეფასებასაც.

ამგვარად, სტანდარტების #1 *(საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა),* #3 *(სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა),* #4 *(სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა)* და #5 *(სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები)* მოთხოვნებთან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია.

რაც შეეხება სტანდარტს #2 *(სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა),* ის, როგორც აღინიშნა, მოთხოვნებთან მეტწილ შესაბამისობაშია. უმაღლესი სასწავლების მიერ განსაზღვრულია პირთა პროგრამაზე დაშვების ზოგადი წინაპირობები და პროცედურები, თუმცა, სასურველია მათი თვალსაჩინოდ გაწერა ვებგვერდსა და პროგრამის აღწერაში. პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებში პრაქტიკული კომპონენტების გამომუშავებაზე. თუმცა, გარკვეული ხარვეზები იკვეთება ორ ქვესტანდარტთან მიმართებით. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამა *სტრუქტურისა და შინაარსის* თვალსაზრისით გარკვეულ დახვეწას საჭიროებს: ყველა კურსისთვის არ არის

მკაფიოდ და თანმიმდევრულად გაწერილი წინაპირობები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა, წინა ვერსიასთან შედარებით, პროგრამის არსებულ ვერსიაში პრაქტიკული კომპონენტის წილი გაზრდილია, პრაქტიკული კომპონენტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად მეტი პრაქტიკუმის შეთავაზება დღის წესრიგში კვლავაც დგას. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის კონტექსტში იკვეთება დარგობრივი კურსების ნაწილის ახალი კვლევებით განახლების საჭიროება.

სასწავლო კურსის კონტექსტში, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თუმცა, არ ჩანს სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ ერთიანი მიდგომა. ასევე, არ არის ნათელი საბაკალავრო ნაშრომისთვის სხვა კურსების მსგავსი კრედიტის (6 კრედიტი) მინიჭების მიზანშეწონილობა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზებული თითოეული სტანდარტი, რეკომენდაცია თუ რჩევები კონკრეტული ქვესტანდარტებისთვის შესაბამისადაა წარმოდგენილი. ჯგუფის წევრთა მოსაზრებით, რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამას კიდევ უფრო დახვეწს და, ზოგადად, დარგის მეტად განვითარებას შეუწყობს ხელს.

- **რეკომენდაციები**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც პროგრამის მეტად დახვეწას შეუწყობს ხელს.

რეკომენდაციები წარმოდგენილია სტანდარტების კონკრეტული კომპონენტების შესაბამისად:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულების ზღვრის აწევა, პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების სათანადოდ გაზომვისა და გაუმჯობესების მიზნით.

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- რეკომენდებულია, პროგრამაში სფეროს თანამედროვე მიღწევების ინტეგრირების მიზნით, პოსტმოდერნული თეორიების კურსის დამატება, აგრეთვე სოციოლოგიის დარგობრივი კურსების ბოლო პერიოდის რელევანტური კვლევებით განახლება.

2.3. სასწავლო კურსი

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის გასაზომად და მის საფუძველზე პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით, ნათლად განისაზღვროს, რომელი სავალდებულო კურსი პროგრამის რომელ სწავლის შედეგებზე გადის;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ ერთიანი მიდგომის შემუშავება, განსაკუთრებით, სილაბუსებში თითოეული სალექციო თემის სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისი გვერდების ასახვა.

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- რეკომენდებულია, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით, პროგრამის დახვეწისა და მის მიერ დასახული მიზნებისა და შედეგების მეტად ეფექტიანად მისაღწევად, საბჭომ რამდენიმე რჩევა შეიმუშავა.

რჩევები წარმოდგენილია სტანდარტების კონკრეტული ქვესტანდარების შესაბამისად:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1. პროგრამის მიზნები

- პროგრამის მიზნების სრულყოფილად განხორციელებისთვის, სასურველია, კურიკულუმს დაემატოს პოსტმოდერნული თეორიების და პროფესიული ინგლისური ენის კურსი;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია მისი საერთო საფაკულტეტო სტრატეგიის შემუშავება.

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების და დახვეწის პროცესში, სტუდენტების და კურსდამთავრებულების უშუალო ჩართვა სამუშაო ჯგუფებში.

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია, უსდ-ის ვებგვერდსა და პროგრამის აღწერაში თვალსაჩინოდ აისახოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია, წინაპირობები მკაფიოდ და თანმიმდევრულად განისაზღვროს ყველა კურსისთვის;
- სასურველია, პროგრამამ შესთავაზოს სტუდენტებს კვლევის მეთოდების პრაქტიკუმები სავალდებულო-არჩევითი კურსების სახით.

2.3. სასწავლო კურსი

- სასურველია, რომ სავალდებულო ლიტერატურა, რაც საბაზისო კურსებში ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენს, არ მეორდებოდეს საკითხავ მასალად სავალდებულო-არჩევით კურსებში; ასევე, არ იყოს ურთიერთგადამფარავი სხვადასხვა სავალდებულო-არჩევითი კურსის ძირითადი ლიტერატურა;
- სასურველია, მეტი სიცხადისთვის, სასწავლო კურსების სილაბუსებში ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა);
- სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის რეალურად წახალისების მიზნით, მისთვის ერთ სასწავლო კურსზე მეტი კრედიტის მინიჭება.

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ადამიანური რესურსი

- სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დოქტორთა რაოდენობის გაზრდა.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- სასურველია პროფესორ-მასწავლებელთა CV-ის საერთო ფორმის შემუშავება, რათა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენა შეიქმნას;
- სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების გააქტიურება, რაც მათ პროფესიულ განვითარებაში პოზიტიურ წვლილს შეიტანდა.

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.2. გარე ხარისხის შეფასება

- სასურველია, პროგრამის დახვეწის მიზნით, გარე ექსპერტული შეფასებების სათანადოდ გათვალისწინება.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი, შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული რეკომენდაციები, რათა პანდემიის პირობებში არსებული გამოწვევები სათანადოდ მართოს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით გამოიკვეთა საუკეთესო პრაქტიკა #4 სტანდარტის ფარგლებში. კერძოდ, საუკეთესო პრაქტიკად გამოვლინდა:

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.3. მატერიალური რესურსი

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამოყენების გამარტივებული პროცედურა, ბიუროკრატიული მექანიზმების მინიმუმამდე დაყვანა.

- მრავალფეროვან საერთაშორისო ბაზებზე წვდომა სათანადო ლიცენზიით დადგენილი წესების დაცვით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს მოცემული პროგრამა, კერძოდ, შეესაბამება სოციალური თეორიებისა და კვლევის მეთოდების, აგრეთვე დარგობრივი მიმართულებების ფართო ჩამონათვალს, რაც სოციოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირისთვის სავალდებულოა. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ის და ფაკულტეტის მისიას და მიზნებს და ორიენტირებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულების მომზადებაზე სოციოლოგიის, როგორც ძირითადი და დამატებითი სპეციალობის მიმართულებით. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით. თავად აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამის აღწერა შედარებით მოკლეა და დაინტერესებულ პირებს მხოლოდ ზედაპირულ წარმოადგენას უქმნის სასწავლო პროგრამის შესახებ. თვითშეფასებისა და პროგრამის აღწერის დოკუმენტებში სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებს შორის აღნიშნულია ფართო ცოდნის გადაცემა ძირითადი სოციოლოგიური თეორიების შესახებ, თუმცა სავალდებულო კურსებს შორის არ არის წარმოდგენილი გვიანი მოდერნის/პოსტმოდერნული თეორიები. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნად იდენტიფიცირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარება, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე, პროგრამის კურიკულუმიდან რთულია მსგავსი დასკვნის გამოტანა. მართალია, ინგლისური ენის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა 24 კრედიტს შეადგენს, როგორც სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის დოკუმენტებიდან ჩანს, ისინი ინგლისური ენის ცოდნის დონეს არასაკმარისად მიიჩნევენ დარგის ინგლისურენოვანი ლიტერატურის გასაცნობად. ასევე, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს არ უწევთ ინგლისურ ენაზე რაიმე დავალების შესრულება, გარდა უშუალოდ პროფილური საგნისა (ინგლისური ენა). ამასთან, ისინი ხაზს უსვამენ ინგლისური ენის გამოცდის სისტემასთან დაკავშირებულ ხარვეზებს. შესაბამისად, ბუნდოვანია, როგორ აღწევს ამ მიზანს პროგრამა, რაზეც მითითებულია როგორც სტუდენტების შეფასებაში, ისე ერთ-ერთ გარე კოლეგიალურ შეფასებაშიც. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და დამსაქმებლებთან ინტერვიუდან თვალსაჩინოა,

რომ პროგრამა გაგზავნილი იყო დამსაქმებლებთან უკუკავშირის მიღების მიზნით და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ცდილობს მის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას. პროგრამის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარების ცენტრის არსებობაც, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე დაფუძნდა და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სასწავლო პროცესში დამხმარე და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს სთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ნაკლებ აისახება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები და შესაბამისი სტრატეგია, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ უსდ-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ხელს უწყობს პროფესორების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას და საკუთარ თავზე იღებს ტექნიკური საკითხების მოგვარებას; ამასთან, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ერაზმუს + გაცვლით პროგრამაში. სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ, რომ პროგრამის წარმომადგენლებმა გამოიყენონ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ის მდიდარი გამოცდილება და თანამშრომლობის ფართო არეალი, რომელიც დამყარებული აქვს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტთან. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის სტუდენტთა ცოდნის განახლებას და უზრუნველყოფს მათ დაინტერესებას საერთაშორისო გამოცდილებითა და აქტუალური საკითხებით. ეს კი, თავის მხრივ, საფუძველს დაუდებს სამომავლოდ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხრიდან საუკეთესო გამოცდილების ქართულ რეალობაში გადმოტანისა და ადაპტირების პროცესის წარმატებით განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აღწერა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საბაკალავრო პროგრამის კატალოგი; ○ სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი საგნების სილაბუსები; ○ პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება; ○ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2020 და 2021; ○ პროფესიული განვითარების ცენტრი; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერაზმუს+ ვებგვერდი (https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/foreignrelations/gacvliti-programebi/erasmus23), საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების ჩამონათვალით.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ პროგრამის მიზნების სრულყოფილად განხორციელებისთვის, სასურველია, კურიკულუმს დაემატოს პოსტმოდერნული თეორიების და პროფესიული ინგლისური ენის კურსი; ○ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია მისი საერთო საფაკულტეტო სტრატეგიის შემუშავება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის „სოციოლოგია“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შესაბამის ცოდნას, უნარებს და ავტონომიურობას/პასუხისმგებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური და გაზომვადია, რადგან ეხმიანება პროგრამის მიზნებს სოციოლოგიის ძირითადი ცნებების, თეორიების და კვლევის მეთოდების კურსების სწავლების მიმართულებით. წარმოდგენილი შედეგები უშუალოდ შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ამზადებს სტუდენტებს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სპეციალობით სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და პროფესიით დასაქმებისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და დამსაქმებლებთან ინტერვიუდან თვალსაჩინოა, რომ პროგრამა გაგზავნილი იყო დამსაქმებლებთან უკუკავშირის მიღების მიზნით და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ცდილობს მის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას. თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი, თუმცა არ იყვნენ ჩართულნი სტუდენტები და კურსდამთავრებულნი. 2020-21 წლებში უსდ-ის მიერ ჩატარებული კვლევებიდან დასტურდება, რომ სტუდენტები მეტად ისურვებდნენ სასწავლო პროცესში პრაქტიკული

კომპონენტის გაძლიერებას, ლექტორების მხრიდან მეტი უკუკავშირის მიღებას, და მათ აქვთ რიგი რეკომენდაციები სასწავლო პროცესის და სწავლის შედეგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ამდენად, მიზანშეწონილი იქნებოდა სტუდენტების ჩართვა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში; ასევე, სასურველი იქნებოდა კურსდამთავრებულების ჩართვაც, რადგან გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ უკვე იციან, სწავლის რა შედეგები გამოადგათ ყველაზე მეტად დასაქმების თვალსაზრისით და რა შედეგები საჭიროებს მეტ ძალისხმევას და დახვეწას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, ტარდება როგორც სტუდენტური გამოკითხვები, ისე სიღრმისეული ინტერვიუ/ფოკუსჯგუფები სტუდენტებთან, რაც ასახულია 2020 და 2021 წლებში სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშებში. მიღებული მონაცემების საფუძველზე, პროგრამა გადაიხედა და დაიხვეწა. მაგ.: სტუდენტების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიმართულებით ფოკუსის გაძლიერება, რასაც მოჰყვა ახალი კურსის დამატება - თვისებრივი მონაცემების დამუშავება NVivo-ს პროგრამის გამოყენებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების გაზომვის და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, რასაც პროფესიული განვითარების ცენტრი ემსახურება. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები, რაც სამიზნე ნიშნულების რუკაში აისახება, თუმცა, აუცილებელია სამიზნე ნიშნულების ზღვარის აწევა, რადგან სტუდენტთა 80%-ის მიერ შეფასების 60%-ის მიღება მინიმალური ნიშნულია და ცხადია, რომ მისი მიღწევის გარეშე პროგრამა უბრალოდ ვერ იარსებებს. სამიზნე ნიშნულები რაც შეიძლება მაღალი მაჩვენებლის მიღწევაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რათა მაქსიმალურად გავიდეს სწავლის შედეგებზე (ვთქვათ, 80%-ზე მაღალ შეფასებას სტუდენტთა რა პროცენტი მიიღებს) და არა იმაზე, შეფასების 60%-ს რომ მიიღებს სტუდენტების დიდი უმრავლესობა, რაც შეფასების მინიმალური ზღვარია (51-60). თუ სწავლის შედეგებთან მიმართებაში განვიხილავთ, არსებული ნიშნულების საფუძველზე გამოდის, რომ სტუდენტთა 80%-ს ექნება საკმარისი (და არა ძალიან კარგი, კარგი ან თუნდაც დამაკმაყოფილებელი) ცოდნა სოციოლოგიის ძირითადი ცნებების და თეორიების შესახებ; ასევე, მხოლოდ საკმარისი უნარები კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების, ეთიკური სტანდარტების დაცვის, მონაცემთა მოპოვების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის, აგრეთვე კოლეგებთან ზეპირი და წერილობითი ფორმით პროფესიული კომუნიკაციის კუთხით. ამდენად, არსებული სამიზნე ნიშნულები ვერ იქნება ადეკვატური სწავლის შედეგების სათანადოდ შესაფასებლად და ამ შეფასების საფუძველზე პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აღწერა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები; ○ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (2020 & 2021); ○ პროფესიული განვითარების ცენტრი; ○ სამიზნე ნიშნულების რუკა; ○ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი; ○ კურსდამთავრებულთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულების ზღვრის აწევა, პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების სათანადოდ გაზომვისა და გაუმჯობესების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების და დახვეწის პროცესში, სტუდენტების და კურსდამთავრებულების უშუალო ჩართვა სამუშაო ჯგუფებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, რაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, აგრეთვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომია, როგორც უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. გარდა ამისა, როგორც უსდ-ის ვებგვერდიდან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, უნივერსიტეტი ახდენს საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში და აცნობს აბიტურიენტებს პროგრამას, მასზე დაშვების წინაპირობებს; აწვდის მათ ინფორმაციას როგორც სწავლის პროცესის ორგანიზების, ასევე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებისა (ერაზმუს+) და დასაქმების შესაძლო სფეროების შესახებ. ამასთან, უნივერსიტეტი უკვე ონლაინ რეჟიმშიც ატარებს „ღია კარის დღეს“, სადაც აბიტურიენტებს შესაძლებლობა აქვთ, ინფორმაცია მიიღონ პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამის აღწერასა და უსდ-ის შესაბამის ვებგვერდზე (სოციალური მეცნიერებები: სოციოლოგია) არ მოიპოვება სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ, გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების მოთხოვნისა და ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალისა. მეტი ინფორმაციულობისთვის მისათითებელია, როგორ ხდება სტუდენტის ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობის წესით, მათ შორის, უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი www.naec.ge; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე ინფორმაცია აბიტურიენტებისთვის: https://iliauni.edu.ge/ge/abiturientebistvis; ○ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ვებგვერდი: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/programebi-303/mecnierebata-da-xelovnebis-fakultetis-sabakalavro-programebi/ertiani-migebit/social-sciences/socialuri-mecnierebebisociologia ○ ინტერვიუ უსდ-ის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, უსდ-ის ვებგვერდსა და პროგრამის აღწერაში თვალსაჩინოდ აისახოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა „სოციოლოგია“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების მიხედვით. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების შესაბამის საფეხურს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. ამასთან, პროგრამის „სოციოლოგია“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შესახებ

ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უსდ-ის ვებგვერდის საშუალებით; თუმცა, პროგრამის შესახებ ნაკლებ ზედაპირული და მეტად სიღრმისეული წარმოდგენის შესაქმნელად, სასურველია, პროგრამის აღწერა უფრო დეტალურად გაიწეროს, რომ პოტენციურმა სტუდენტმა მეტად შეძლოს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება.

პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი თანმიმდევრულია და მეტწილად ადეკვატურია შემდეგ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები. თუმცა, რიგ შემთხვევაში, წინაპირობები მკაფიო არ არის. მაგალითად, რატომ არის დაშვების წინაპირობა კურსისთვის „სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები“ კურსი „მონაცემთა დამუშავება კომპიუტერული პროგრამა SPSS/PSPP-ის გამოყენებით“ და არა პირიქით; რითი აიხსნება სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდების კურსში იმ საკითხების გამეორება, რაც უკვე გავლილია კურსში „მონაცემთა დამუშავება კომპიუტერული პროგრამა SPSS/PSPP-ის გამოყენებით“ (მაგ.: მონაცემების შეყვანა და გაწმენდა, სიხშირეების გამოთვლა), ან თუნდაც კვლევის ინსტრუმენტის შემუშავების, პილოტირების, სანდოობისა და ვალიდობისთვის მხოლოდ ერთი სალექციო დღის დათმობა (კვირა 4). ამასთან, არ არის ნათელი, რატომ არის თავად კურსისთვის „მონაცემთა დამუშავება კომპიუტერული პროგრამა SPSS/PSPP-ის გამოყენებით“ წინაპირობად განსაზღვრული მხოლოდ „აღწერითი სტატისკის“ კურსი და არა კურსიც „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტმა უნდა მიიღოს კვლევის მიზნის, ამოცანების, ჰიპოთეზის თუ სხვა ისეთი საკვანძო საკითხების შესახებ ცოდნა, რომელთა ფლობაც მნიშვნელოვანია უშუალოდ მონაცემების დამუშავების პროცესის დაწყებამდე.

პროგრამის „სოციოლოგია“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) სავალდებულო კურსები სოციოლოგიის საბაზისო კურსებს წარმოადგენს და საკვანძოა დარგობრივი კომპეტენციის განვითარებისთვის. ამასთან, პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს მრავალფეროვან სავალდებულო-არჩევით კურსებს სოციოლოგიის სხვადასხვა ქვედისციპლინიდან, როგორიცაა პოლიტიკის, კულტურის, რელიგიის, ოჯახის, გენდერის, მენეჯმენტის და სხვ. სოციოლოგია. თუმცა, პროგრამაში სფეროს თანამედროვე მიღწევების ინტეგრირებას უდავოდ შეუწყობდა ხელს პოსტმოდერნული თეორიების კურსის დამატება; ასევე, დარგობრივი სოციოლოგიის სხვადასხვა კურსში (როგორიცაა გენდერის სოციოლოგია, ოჯახის სოციოლოგია, კულტურის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, ნაციონალური იდენტობის სოციოლოგია და სხვ.) ახალი კვლევების მონაცემების ასახვა.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ რამდენიმე საკითხი, რომელიც გაძლიერებას საჭიროებს: როგორც ზემოთ აღინიშნა, სტუდენტების კმაყოფილების კვლევის საფუძველზე, მათი ძირითადი მოთხოვნა პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაა და მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ამ მიმართულებით ცვლილებებს ახორციელებს (მაგ.: კურიკულუმს დაემატა თვისებრივი კვლევის მონაცემების NVivo-ს პროგრამით დამუშავების კურსი) და, ერთი შეხედვით, კვლევის მეთოდების კურსები სავალდებულო მოდულის ბირთვს წარმოადგენს, ისევ თვისებრივი მეთოდების სწავლებას რომ დავუბრუნდეთ, მთლიან სასწავლო პროგრამაში სულ 3 რელევანტური კურსია წარმოდგენილი: 1. კვლევის მეთოდების შესავლის კურსი, სადაც რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები ინტეგრირებულია და გაცნობითი ხასიათი აქვს; 2. NVivo-ს კურსი, სადაც სტუდენტები უმეტესად თვისებრივ ინტერვიუს ან ფოკუსჯგუფს ატარებენ და შესაბამისი მონაცემების კოდირება-კატეგორიზაციას ახდენენ აღნიშნული პროგრამის საფუძველზე (თუმცა, ხაზგასასმელია, რომ კომპიუტერული პროგრამა მხოლოდ მონაცემების ორგანიზებას და კოდირებას ახდენს და ვერ მოახდენს მათ ანალიზს, კვლევის ანგარიშის შედგენის წესების განხილვას კი მხოლოდ ერთი ლექცია ეთმობა); 3.

თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსი, რაც ერთსემესტრიანია და ნაკლებ იძლევა თითოეულ გავლილ მეთოდში პრაქტიკული დავალების შესრულების შესაძლებლობას, მონაცემების ანალიზის მეთოდებს კი თითო ლექცია ეთმობა, რაც ნაკლებ რეალისტურია. ამასთან, როგორც სამიზნე ნიშნულების რუკიდან ჩანს, აღნიშნული სამი კურსიდან ემპირიული კვლევის ჩატარება და მონაცემების დამუშავება მხოლოდ მეორე კურსშია გათვალისწინებული, რადგან მხოლოდ NVivo-ს კურსია მითითებული სწავლის შემდეგ შედეგებთან: #2 - ძირითადი თვისებრივი ან/და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება აქტუალური სოციალური პრობლემის/საკითხის კვლევისა და შეფასების მიზნით და #3 - მონაცემების მოპოვება, აღწერა და მათი დამუშავება შესაბამისი პროგრამების გამოყენებით. ხოლო სწავლის შედეგს #4 (კვლევის შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია და შეფასება), სამიზნე ნიშნულების რუკის მიხედვით, NVivo-ს კურსიც კი არ ითვალისწინებს, არამედ მხოლოდ „კვლევა, როგორც პროექტი.“ პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება შესაძლებელია როგორც არსებულ კურსებში მონაცემების ანალიზზე მეტი ფოკუსის დასმით, ასევე სავალდებულო-არჩევითი კურსების სახით კვლევის პრაქტიკუმის რამდენიმე კურსის დამატებით, მით უმეტეს, ისეთ პირობებში, როცა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულო არ არის. მართალია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება წახალისებულია, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ სტუდენტების თუნდაც მესამედმა აირჩიოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, როცა მისი კრედიტი ერთი სასწავლო კურსის კრედიტის ტოლფასია, თუმცაღა, კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, მონაცემების ანალიზი და შემდეგ წერილობითი ფორმით წარდგენა (როცა მინიმალური მოთხოვნა 40 გვერდია) ბევრად მეტ დროს და ენერგიას მოითხოვს. საბაკალავრო ნაშრომის ერთგვარ კომპენსირებას წარმოადგენს მე-4 კურსზე შეთავაზებული კურსი „კვლევა, როგორც პროექტი“. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სილაბუსის მიხედვით, კვლევის დიზაინის შემუშავებას, კვლევის ინსტრუმენტის შედგენას და საველე კვლევის ჩატარებასაც კი თითო კვირა ეთმობა, რაც მხოლოდ ზედაპირული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობას იძლევა. აგრეთვე, დისპროპორციულია მიმართება მონაცემების მოპოვების (სილაბუსის მიხედვით, ერთი ან მაქსიმუმ ორი კვირა) და მონაცემების დამუშავების (შვიდი კვირა) ფაზებს შორის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა; ○ პროგრამის კურსების კატალოგი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები; ○ პროგრამის სამიზნე ნიშნულების და სწავლის შედეგების რუკა; ○ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; ○ შეხვედრების ოქმები; ○ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, პროგრამაში სფეროს თანამედროვე მიღწევების ინტეგრირების მიზნით, პოსტმოდერნული თეორიების კურსის დამატება, აგრეთვე სოციოლოგიის

დარგობრივი კურსების ბოლო პერიოდის რელევანტური კვლევებით განახლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, წინაპირობები მკაფიოდ და თანმიმდევრულად განისაზღვროს ყველა კურსისთვის; ○ სასურველია, პროგრამამ შესთავაზოს სტუდენტებს კვლევის მეთოდების პრაქტიკუმები სავალდებულო-არჩევითი კურსების სახით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; ამასთან, კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება დეტალურად ჩაშლილი შეფასების კრიტერიუმებით. თუმცა, აქვე ყურადღებას იქცევს სამი ასპექტი: 1) სწავლის მე-3 შედეგი გულისხმობს სტუდენტის მიერ მონაცემების მოპოვებას, აღწერას და დამუშავებას შესაბამისი პროგრამების გამოყენებით. როგორც კომპეტენციათა რუკაზეა ასახული, ამ შედეგზე გადის რამდენიმე კურსი, რომელთაგან ბუნდოვანია, როგორ ხდება შედეგზე გასვლა, მაგალითად, სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდების კურსის ფარგლებში, სადაც პროგრამის გამოყენებით მონაცემების დამუშავება არ არის გათვალისწინებული. ამასთან, სამიზნე ნიშნულების რუკაზე, სოციოლოგიური

კვლევის თვისებრივი მეთოდების კურსი, ისევე როგორც სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდების კურსი და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების კურსი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის არცერთ შედეგთან მიმართებაში არ არის წარმოდგენილი, თუმცა კომპეტენციათა რუკის მიხედვით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსები სწავლის ექვს შედეგზე გადის, სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების კურსი კი - სწავლის ხუთ შედეგზე. 2) სამიზნე ნიშნულების რუკაზე, სწავლის ოთხ შედეგზე (4. კვლევის შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია, შეფასება; 5. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; 6. საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება, მართვა და საჭირო რესურსების გამოყენება და 7. დარგში არსებული ეთიკის ნორმებისა და სტანდარტების დაცვა კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის წარმოდგენისას) მხოლოდ ერთი კურსი გადის: „კვლევა, როგორც პროექტი“, თუმცა კომპეტენციათა რუკაზე სწავლის შედეგები განსხვავებულად არის წარმოდგენილი; 3) იმ სამუშაოს მასშტაბების გათვალისწინებით, რაც აუცილებელია საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად, ბუნდოვანია, რითი აიხსნება მისთვის მხოლოდ 6 კრედიტის მინიჭება. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საბაკალავრო ნაშრომი გაცილებით ფართო ცოდნისა და უნარების განვითარებასა თუ დემონსტრირებაზეა ორიენტირებული, ვიდრე ეს ნებისმიერი სხვა კონკრეტული კურსის ფარგლებში ხდება.

რათა თვალსაჩინო იყოს, რამდენად შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, აუცილებელია, რომ სილაბუსებში მითითებული იყოს სავალდებულო ლიტერატურის გვერდები, რომლის მითითებაც, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის წინასწარ განსაზღვრას, ასევე, ნათელს ჰფენს იმას, თუ რა განსხვავებაა ერთი კურსის ფარგლებში სხვადასხვა კვირას განხილული იდენტური თემატიკის ლექციებს შორის. თუმცა, მოცემულ პროგრამაში სავალდებულო ლიტერატურის გვერდები თითოეული კვირისთვის სილაბუსების ნაწილში წარმოდგენილია, ნაწილში - არა. თითოეული სალექციო თემის სავალდებულო ლიტერატურის განსაზღვრა კონკრეტული გვერდების მითითებით, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობდა სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს; ამავე დროს, გაამარტივებდა დასახელებული სავალდებულო ლიტერატურის მოცულობის რელევანტურობის დადგენას.

კიდევ ერთი საყურადღებო საკითხია კურსებში სავალდებულო ლიტერატურის გამეორება. მაგალითად, პროგრამაში სავალდებულო-არჩევითი კურსის სახით წარმოდგენილია „შესავალი რელიგიის სოციოლოგიაში“, რომლის სავალდებულო ლიტერატურას წარმოადგენს ემილ დიურკემის „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“; თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ემილ დიურკემის „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“ ცალკე კურსად არის შეთავაზებული სავალდებულ-არჩევით კურსებს შორის. ამავე კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ ლიტერატურა, რომელიც ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენს სოციოლოგიის ზოგადი კურსისთვის და, როგორც ინტერვიუებისას აღინიშნა, ყველა დარგობრივი კურსის წინაპირობაა (მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებსა და პროგრამაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მითითება), არ იყოს ერთადერთი საკითხავი მასალა სხვა კურსების ფარგლებშიც. მაგალითად, სოციოლოგიის ზოგადი კურსის მთავარი სახელმძღვანელო (*ენტონი გიდენსი, სოციოლოგია, 2001)* მითითებულია „გენდერის სოციოლოგიის“ კურსის ოთხი სალექციო კვირის (VII, VIII, IX, X) საკითხავ მასალად. ძირითადი ლიტერატურის ურთიერთგადაფარვის პრობლემას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, განსაკუთრებით

იმის გათვალისწინებით, რომ სოციოლოგიის პროგრამის სტუდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „სხვადასხვა კურსის ძირითადი თემები მეორდებოდა და ემთხვეოდა ერთმანეთს“ (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2020, გვ 56).

აქვე ჩანს ზოგიერთი სასწავლო კურსის („სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“, „განვითარების თეორიები“, „გენდერის სოციოლოგია“, „ქალთა ქონებრივი უფლებების გენდერული ასპექტები“ და სხვ.) სილაბუსების შინაარსის ნათლად ასახვის საჭიროება; კერძოდ, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსების დასაწყისში მითითებული იყოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ განსახილველი საკითხის მოკლე სტრუქტურა (აღწერა). ეს მეტ სიცხადეს შეიტანდა სილაბუსში ასახსნელ საკითხებთან დაკავშირებით და სტუდენტს უკეთ დააკვალიანებდა კურსის შინაარსის თაობაზე.

სასურველი იქნება რიგი სილაბუსების უახლესი ლიტერატურით გამდიდრება, მით უმეტეს, როცა ამ მიმართულებით არაერთი კვლევაა ჩატარებული. მაგალითად, კულტურის სოციოლოგიის კურსში თანამედროვე კულტურის სოციოლოგიაში ახალი პარადიგმის ფუძემდებლად წოდებული ჯეფრი ალექსანდერის თუნდაც ერთი ნაშრომის განხილვა (თავისთავად იგულისხმება კულტურის სოციოლოგიის ისეთი კლასიკოსების განხილვა, როგორიცაა პიერ ბურდიე და ირვინ გოფმანი, რაც სილაბუსში არ აისახება); ამასთან, მნიშვნელოვანია ნაციონალური იდენტობის სოციოლოგიაში, კლასიკურ თეორიებთან ერთად, როჯერს ბრუბეიკერის, მაიკლ ბილიგის და სხვა ავტორების უფრო გვიანი კვლევების, აგრეთვე ულტრამემარჯვენე ნაციონალიზმის და პოპულიზმის მიმდინარე ტალღებთან დაკავშირებით კვლევების ინტეგრირებაც, მათ შორის, ქართული რეალობიდან, რაც თეორიული ცოდნის კონტექსტუალიზებას შეუწყობდა ხელს (იხილეთ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის 2021 წლის ნაშრომები ამ თემაზე); „ქალთა ქონებრივი უფლებების გენდერული ასპექტები“-ს კურსში შედარებით ახალი ქართულენოვანი ნაშრომების ინტეგრირება (მაგალითად, ნ. წკეპლაძე, შრომის სფეროში არსებული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გენდერული ანალიზი, თბ., 2011; თ. აბსანძე, თ. ქეცბაია, ქალთა უფლებები და სახელმწიფო დაცვის მექანიზმები, თბ., 2019 და ა.შ. ამავე საგნის სილაბუსში მიზანშეწონილია, ჩანდეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ქალთა ქონებრივი უფლებების გენდერული ასპექტები საოჯახო სამართალში, ქალთა შრომითი უფლებები და სხვ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კომპეტენციათა რუკა;
- პროგრამის სამიზნე ნიშნულების და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2020.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის გასაზომად და მის საფუძველზე პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით, ნათლად განისაზღვროს, რომელი სავალდებულო კურსი პროგრამის რომელ სწავლის შედეგებზე გადის;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ ერთიანი მიდგომის

შემუშავება, განსაკუთრებით, სილაბუსებში თითოეული სალექციო თემის სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისი გვერდების ასახვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, რომ სავალდებულო ლიტერატურა, რაც საბაზისო კურსებში ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენს, არ მეორდებოდეს საკითხავ მასალად სავალდებულო-არჩევით კურსებში; ასევე, არ იყოს ურთიერთგადამფარავი სხვადასხვა სავალდებულო-არჩევითი კურსის ძირითადი ლიტერატურა; ○ სასურველია, მეტი სიცხადისთვის, სასწავლო კურსების სილაბუსებში ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა); ○ სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის რეალურად წახალისების მიზნით, მისთვის ერთ სასწავლო კურსზე მეტი კრედიტის მინიჭება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში არაერთხელ იყო ხაზგასმული, რომ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებში პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, რაც პროგრამის მიზნებს შეესაბამება. მიუხედავად სტუდენტების შეფასებებში (2020 და 2021) პრაქტიკული კომპონენტის დეფიციტის ხაზგასმისა, როგორც ზემოხსენებულ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა,

პროგრამა ცდილობს სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინებას და პროგრამის არსებულ ვერსიაში პრაქტიკული კომპონენტის წილი მნიშვნელოვნად გაზრდილია, წინა ვერსიასთან შედარებით. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, მკვლევრებად ჩაერთონ და პრაქტიკული გამოცდილება შეიძინონ პროფესორების მიერ განხორციელებულ კვლევით პროექტებში, რისი ნიმუშიცაა რამდენიმე ასოცირებული პროფესორის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, აგრეთვე რამდენიმე ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით 2019 წლიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე ღირებულებების კვლევები, სადაც სხვადასხვა პერიოდში 12-დან 32-მდე სტუდენტი იყო ჩართული. შესაბამისად, ემპირიული კომპონენტის განხორციელებისას სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევენ პროგრამაში ჩართული პროფესორები, რაც მათ საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ უკეთ შეაფასონ სტუდენტების კვლევითი უნარები და უკეთ უპასუხონ მათ საჭიროებებს, არამედ სტუდენტებთან გრძელვადიანი პროფესიული თანამშრომლობა დაამყარონ. აღნიშნულ პროექტებში სტუდენტების ჩართვა მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამის მე-2, მე-3, მე-4 და მე-7 შედეგების მიღწევას (კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით მონაცემების მოპოვების, დამუშავების და ანალიზის, აგრეთვე კვლევის ეთიკური სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები). თუმცა, ამ მიზნით მნიშვნელოვანია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან სტუდენტების უკუგების მეტად ქმედითი სისტემის ამუშავება, რადგან სტუდენტების შეფასებებში (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2021) სწორედ ამ უკანასკნელის საჭიროებაა ხაზგასმული. პროგრამას გაფორმებული აქვს ექვსი მემორანდუმი კვლევით და მარკეტინგულ კომპანიებთან, სადაც პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას გადიან და მათ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები უწევენ ზედამხედველობას. მემორანდუმები ადასტურებს პროგრამის მხრიდან კვლევის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მზაობას. მემორანდუმები ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა დამსაქმებლის მიერ სოციოლოგიის პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობის მიღება, ერთობლივი კონფერენციების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება, პროგრამის გაუმჯობესებაში დამსაქმებლის მხრიდან წვლილის შეტანა და ა.შ. თუმცა, წარმოდგენილი მემორანდუმები არ ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში დამსაქმებლებმა დადებითად შეაფასეს პროგრამასთან თანამშრომლობა, აღნიშნეს, რომ მათ ორგანიზაციებში სისტემატურად გადიან სტაჟირებას ამ პროგრამის სტუდენტები და ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს გამოარჩევს კვლევის მეთოდების და SPSS პროგრამის ცოდნა და დამსაქმებლის მოთხოვნებთან სწრაფად ადაპტირება. ამდენად, მიუხედავად სტუდენტებისა და დამსაქმებლებლების მხრიდან პრაქტიკული კომპონენტის სწავლების გაძლიერების სურვილის გამოთქმისა, მთლიანობაში, ინტერვიუში მონაწილე დამსაქმებლები სტუდენტების პრაქტიკულ უნარებს დადებითად აფასებენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური პერსონალის CV/პირადი საქმეები; ○ სწავლის შედეგების რუკა; ○ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2020 და 2021;

- სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში;
- საბაკალავრო ნაშრომები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის მომზადებული დოკუმენტების შესწავლისა და ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართული დისკუსიებისა და ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლისას გამოყენებულია შეფასების შესაბამისი სისტემა, რომელიც დეტალურად ჩაშლილია შემადგენელი კომპონენტების მიხედვით. ამასთან, სტუდენტებს აქვთ აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრის ჩანიშვნის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფილია არა მხოლოდ „არგუსის“ სისტემით, არამედ სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებითაც. როგორც აკადემიურ პერსონალთან შეხვედრაზე აღინიშნა,

დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის პირობებში, სტუდენტებს შეეძლოთ პროგრამაში ჩართულ პერსონალთან კონსულტაციის ჩანიშვნა/გავლა როგორც „არგუსის“, ასევე კორპორატიული ფოსტის, ZOOM თუ TEAMS-პლატფორმების გამოყენებით. ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალური შეხვედრის ჩანიშვნის სერვისი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ ინდივიდუალური შეხვედრის ფორმატში მიიღონ კონსულტაცია ნაშრომთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების ფარგლებშიც გამოიკვეთა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე არის მოქნილი და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანამანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი; ○ არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი http://writingcentre.iliauni.edu.ge; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ონლაინ შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ხასიათდება გამჭირვალობით. სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა ასევე წარმოდგენილია ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსში“. აღნიშნული ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტს ეძლევა საშუალება, გაეცნოს შეფასების შედეგებს, იქონიოს უკუკავშირი ლექტორთან და, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება.

აქვე ხაზგასასმელია, რომ მოცემული სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას, პრაქტიკული და თეორიული დავალებების შესრულებას, რეფერატების მომზადებას, ტესტირების ჩატარებას, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. თითოეული აქტივობის შეფასების ხვედრითი წილი ფორმირებულია საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე; თუმცა, თითოეული სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება: ორი შუალედური გამოკითხვითა და ერთი დასკვნითი შეფასებით.

ვიზიტის განმავლობაში, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ. ისინი კარგად იცნობენ მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები. ამასთანავე, როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ, გააუმჯობესონ სწავლის შედეგები. აღსანიშნავია, რომ შეფასება და უკუგება აისახება „არგუსში“, რომლის მეშვეობითაც როგორც სტუდენტებს, ასევე ლექტორებსა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას საშუალება ეძლევათ, გაეცნონ შედეგებს და გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ (https://argus.ge/ge); ○ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი; ○ ელექტრონული სწავლების სისტემა “e-learning” (https://elearning.iliauni.edu.ge).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,		✓		

პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შეხვედრების ჩატარების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები მოცემული პროგრამის ფარგლებში იღებენ ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად. მოცემულ პროცესში სტუდენტებს დახმარებას უწევენ პროგრამის კოორდინატორი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი - კურიკულუმის ექსპერტი, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ სტუდენტისა და კურსდამთავრებულისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც. ამასთანავე, სტუდენტებს საშუალება აქვთ, აკადემიური პერსონალისგან სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი, რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. მოცემული მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, სტუდენტთა გარკვეული წინადადებები ცალკეული სილაბუსებისა თუ შეფასების პროცესთან მიმართებაში გათვალისწინებული და ასახული იქნა პროგრამის დახვეწის პროცესში. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები რეგულარულად ატარებენ საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან. ასევე, ხორციელდება ყოველსემესტრული სტუდენტური გამოკითხვა, ხოლო მიღებული შეფასებების შედეგები მიმართულია პროგრამისა და სასწავლო პროცესის საბოლოო დახვეწისაკენ. უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსის“ (არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა) მეშვეობით, სტუდენტი ერთვება უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო სივრცეში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირების მიზნით ეფექტურად გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. გარდა იმისა, რომ მოცემული საშუალებების გამოყენებით, სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას როგორც

სასწავლო პროგრამის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, სასწავლო მასალებისა და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ, მათ ასევე მოცემული საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით მიეწოდებათ ინფორმაცია ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებისა და გრანტების თაობაზე. ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს პროგრამის გამორჩეულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დასაქმდნენ ან/და სტაჟირება გაიარონ იმ კვლევით ცენტრებში, რომლებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტი. მაგალითად, ახალგაზრდა მკვლევართა პროგრამის ფარგლებში, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC Georgia) იღებს სტუდენტებს 6 თვიდან 1 წლამდე ანაზღაურებად სტაჟირებაზე. უნივერსიტეტი ასევე აქტიურად თანამშრომლობს სტატისტიკის ეროვნულ დეპარტამენტთან და კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია ACT-თან, რომლებიც უნივერსიტეტის სტუდენტებს სთავაზობენ როგორც ანაზღაურებად სტაჟირებას, ასევე კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობას. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის წარმატებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ, ისარგებლონ სხვადასხვა სახის ფინანსური წახალისების მექანიზმებით, კერძოდ, მოქმედებს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა, რომლითაც სურვილისამებრ შეუძლია ისარგებლოს თითოეულმა სტუდენტმა, დაწესებულია სტიპენდიები მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისათვის და გამოყოფილია დაფინანსება სხვადასხვა კვლევით პროექტებში მონაწილეობისათვის. ამის ნიმუშია სტუდენტთა ჩართულობა შემდეგ კვლევით პროექტებში: „სოციალური შეჭიდულობის ძიება საქართველოს მცირე ურბანულ დასახლებებში", „სოციალური შეჭიდულობის დონე საქართველოში: მიკუთვნებულობა და ურთიერთდაკავშირებულობა მულტიკულტურულ და მულტიეთნიკურ ქართულ საზოგადოებაში", საერთაშორისო კვლევითი პროექტი "Exploring Security Democracy Nexus in the Caucasus, 7th PCRD of EU (CASCADE)", გამოყენებითი კვლევითი პროექტი „ილიაუნის ცნობადობა თბილისის მოსახლეობაში" და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ონლაინ-ვიზიტის შედეგები; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები; ○ თანამშრომლობის მემორანდუმები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც მთლიანობაში სათანადო კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ამასთან, უდავოდ პროგრამის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარკვეულ ნაწილს გააჩნია საერთაშორისო გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთათვის თანამედროვე მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება-გაზიარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტზე მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო დატვირთის სქემა სემესტრის მიხედვით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, პერსონალისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების მიხედვით, ძირითადად დაბალანსებულია. კერძოდ, პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს, სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, სტუდენტთათვის სათანადო ცოდნის გაზიარებისა და უნარების განვითარებას. პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით გამოიყურება ასე: 45/322-ზე. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 21 აკადემიური თანამდებობის მქონე პირი და 24 მოწვეული ლექტორი. შესაბამისად, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის მთლიანობაში დაცულია ბალანსი. ინტერვიუ ადასტურებს, რომ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავება-დახვეწის პროცესში. მართალია, მოწვეული პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი არის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მფლობელი, მაგრამ პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუდან ჩანს, რომ არის დოქტორთა ხელშეწყობისა და რაოდენობის გაზრდის მზაობა.

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის წამყვანი პროფესორი, რომელსაც მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების სტაჟი და მდიდარი გამოცდილება აქვს. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს საერთაშორისო გამოცდილებას და დაკავებულია აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით. რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას, ის ნათლად და კონკრეტულად არის დადგენილი პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებში. მათგან აღსანიშნავია: პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის ხელმძღვანელობა და ამ პროგრამის ეფექტურად განხორციელების პროცესის კოორდინირება, შიდა ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-განვითარება, შიდა თვითშეფასების მექანიზმების დახმარებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა და პროგრამის განვითარებისთვის რელევანტური ინტერვენციების შემუშავება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის ხელშეწყობა და სხვ. პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესორ-მასწავლებლებთან გასაუბრებიდან დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ უწევდა პროგრამის შემუშავებას კოორდინაციას და აქტიურად იყო ჩართული პროგრამის დახვეწა-განვითარებაში.

ამავე დროს, პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულია მეცნიერებისა და ხელოვნების

ფაკულტეტი ადმინისტრაციის შესაბამისი თანამშრომლები. ამ პროცესში მონაწილეობენ ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეფასებისა და განვითარების სამსახური, სასწავლო პროცესების კოორდინატორი. უშუალოდ სოციოლოგიის პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი. ამავე ფაკულტეტის დეკანის, მისი თანაშემწის, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების კოორდინატორის, საინფორმაციო ცენტრის კოორდინატორის, სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სპეციალისტის, ხარისხის უფროსისა და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა ფუნქციები, მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ნათლად და დეტალურად არის წარმოდგენილი.

შრომითი ხელშეკრულებებით დაწვრილებით არის განსაზღვრული როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის უფლება-მოვალეობები. ამასთან აკადემიური პერსონალის შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ კონფიდენციალობის დაცვა ევალება დასაქმებულს (VIII თავი). არადა, ეს როგორც დასაქმებულის, ისე დამსაქმებლის მოვალეობაა. სასურველია, აღნიშნული დეტალი ჩასწორდეს პროფესორ-მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში:
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციები და ხელშეკრულების ნიმუშები;
- აკადემიური საბჭოს 2013 წლის 24 სექტემბრის N83 სხდომასა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე დამტკიცებულ „აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესსა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობებში“ ცვლილებები და დამატებები „აკადემიურ„აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესსა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების“ შესახებ;
- გამოცხადებული კონკურსები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამაში დატვირთვა;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ (https://argus.ge/ge/).
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი.
- შრომითი ხელშეკრულებები/აფილირების წესი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დოქტორთა რაოდენობის გაზრდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლის შეფასებასა და შედეგების ანალიზს სისტემატურად აწარმოებს უნივერსიტეტი. აქ მოქმედებს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც მხარს უჭერს უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობას და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვა-რეალიზების მიმართულებით. ფაკულტეტზე მოქმედებს პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევისა და სწავლებასთან დაკავშირებული პროცესის შეფასებას. კვლევითი ერთეულების შეფასების მიზანია კვლევების დაფინანსების ღია და გამჭვირვალე პრინციპების შექმნა, კერძოდ, წინა პერიოდის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, სამეცნიერო საბჭო რეკომენდაციას აძლევს აკადემიურ საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამომავლო პროექტების დაფინანსების თაობაზე. სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური მართავს და პერიოდულად განაახლებს შესაბამისი პროექტების მონაცემთა ბაზას, ასევე,

ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესს. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.

მთლიანობაში, უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე, უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტებისთვის, რომელთა მიზანია კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობა. უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართვას საერთაშორისო კვლევით პროექტებში. მას ევალება, უზრუნველყოს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება-მოზიდვა, შესთავაზოს მხარდამჭერი სერვისები, დაეხმაროს საპროექტო განაცხადების მომზადება-წარდგენაში და სხვა. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას. თუმცა, ამავე დროს, ლექტორთა ნაწილის პირადი საქმეებიდან ჩანს სამეცნიერო ნაშრომებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებების (კურსები, ტრენინგები და სხვ.) ნაკლებობა ან არარსებობა. ასევე, დგინდება, რომ არაა CV-ის ერთგვაროვანი ფორმა შემუშავებული; შესაბამისად, პროფესორ-მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა თუ პროფესიული განვითარების შესახებ არ იძლევა სრულ სურათს.

უნივერსიტეტი სთავაზობს პერსონალს პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს (თემატურ ტრენინგებს, ლექციებსა და კონფერენციებს), რომლებიც მნიშვნელოვანია დარგში არსებული სიახლეებისა და მიღწევების, ასევე, მიდგომების გაზიარების გათვალისწინებით. თანამშრომელთა საჭიროებების ფარგლებში ტრენინგებისა თუ პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც სთავაზობს სწავლების პროცესში ჩართულ პერსონალს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ტრენინგ-მოდულებს. ასევე, უნივერსიტეტში კვლევითი პოტენციალის გაზრდას ემსახურება ახალგაზრდა მკვლევრებისთვის დაწესებული ჯილდო - პასკალის პრემია, დარგში შესრულებული გამორჩეული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის. თუმცა, პროფესორ-მასწავლებელთა პირადი საქმეებიდან (CV) დგინდება 2015, 2016 წლებში ან სხვა შემთხვევაში, პროფესიული ტრენინგებისა თუ ღონისძიებების ნაკლებობა ან არარსებობა. იკვეთება ამ მიმართულებით მეტი აქცენტის დასმისა და ცენტრის მუშაობის მეტად გააქტიურების აუცილებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- განვითარების სამსახურის დებულება;
- კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი;
- ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ანგარიში;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი;

- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება;
- აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის დებულება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროფესორ-მასწავლებელთა CV-ის საერთო ფორმის შემუშავება, რათა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენა შეიქმნას;
- სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების გააქტიურება, რაც მათ პროფესიულ განვითარებაში პოზიტიურ წვლილს შეიტანდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დისტანციური დათვალიერებით დადგინდა, რომ ეს რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაში ასახული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში, გაუმჯობესების მიზნით, შევიდა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც შეეხო პროგრამის

განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტში სალექციო აუდიტორიები განახლებულია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით. როგორც სალექციო აუდიტორიები და სამკითხველო დარბაზი, ისე კომპიუტერული ცენტრის ოთახები არის კეთილმოწყობილი. უნივერსიტეტში სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი"; ასევე, გამოიყენება „Turnitin"-ისა და „Moodle"-ის პროგრამები. მათი დახმარებით სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია სიახლეების შესახებ და უკუკავშირის შესაძლებლობა. საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი" ხელს უწყობს სტუდენტებსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებს, ასევე, უნივერსიტეტის სამსახურებს შორის კომუნიკაციას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოდგენილია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით, რაც იძლევა დარგის უახლესი ტენდენციებისა და მიღწევების გაცნობის შესაძლებლობას. ინფორმაცია ახალი ლიტერატურის შესახებ განთავსებულია ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში. ეს, თავის მხრივ, ეხმარება როგორც სტუდენტთა ინფორმირებულობას, ისე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, წიგნად ფონდში ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საკითხავი მასალის ე.წ. „რიდერის" მომზადებას ბეჭდური თუ ელექტრონული სახით და საავტორო უფლებების დაცვით. ეს საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია, ხოლო ელექტრონული ფორმით გაცნობა შესაძლებელია საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

ბიბლიოთეკა ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი მომსახურების შეთავაზებას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სერვისი შესაბამისი ინფრასტრუქტურით (სამკითხველო დარბაზები, ჯგუფური მუშაობის სივრცეები, მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი კუთხეები, კომპიუტერული რესურსცენტრები, შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახი, წიგნსაცავები და სხვ.) მოქნილი და გამარტივებულია, რაც მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო მომსახურება მოიცავს ვიზიტისა და წიგნის დაჯავშნას, ასლის გადაღება-დაბეჭდვას, ბიბლიოთეკათშორის სერვისს და სხვ. ამდენად, ბიბლიოთეკა ხელს უწყობს აკადემიურ პროცესსა და მისი ხარისხის ამაღლებას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც სახელმძღვანელოების, ისე საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების ელექტრონული ვერსიებიც. ბიბლიოთეკის ვებგვერდზე ატვირთულია ელექტრონული წიგნები, რომელთა გაცნობაც შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. დისტანციური ვიზიტისას შერჩევითად გადამოწმდა ბაზებზე წვდომისა და ნაშრომების არსებობის საკითხი.

დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა ცვლილებები განახორციელა ელექტრონული სამეცნიერო რესურსებისა და წიგნადი ფონდის გაზრდის მიმართულებით. იკვეთება, რომ უზრუნველყოფილია საერთაშორისო ბაზებში სილაბუსებით გათალისწინებულ რესურსებზე წვდომა. ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები შესულია ისეთ აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებში, როგორიცაა: Clarivate Analitics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science); Scopus; EBSCOHost, Britannica, Elsevier, JSTOR და სხვა. ამ თვალსაზრისით, ბიბლიოთეკა მუდმივად სთავაზობს დაინტერესებულ მკითხველს სიახლეებს და ფლობს მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას.

საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის წესები, სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად,

ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა თუ სხვა ტიპის სივრცეებში. სტუდენტებს საშუალება აქვთ, დაუბრკოლებლად ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებითა და ელექტრონული ბაზებით; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას არ აღმოაჩნდება შესაბამისი მასალა, საბიბლიოთეკო პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში სტუდენტს საშუალება აქვს, სხვა პარტნიორი ბიბლიოთეკიდან მიიღოს საჭირო მასალა.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი იყენებს პირად სამუშაო სივრცეებს სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.

ამავე დროს, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტებითა და ცენტრებით (მაგ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი და სხვ.), პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში არის დამონტაჟებული ე.წ. „პანდუსები“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

აქვე საყურადღებოა, რომ დაცულია კოვიდრეგულაციები. უნივერსიტეტში დამონტაჟებულია ხელის დამუშავებისთვის აუცილებელი საშუალებები.

ამდენად, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სრულად უზრუნველყოფს სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ (https://argus.ge/ge/);
- ელექტრონული სწავლების პორტალი: https://elearning.iliauni.edu.ge/;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზები: https://library.iliauni.edu.ge;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტური გამოკითხვის შედეგები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და TURNITIN-ს შორის 2018 წლის 25 ივნისის N06/130 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები/ მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამოყენების გამარტივებული პროცედურა, ბიუროკრატიული მექანიზმების მინიმუმამდე დაყვანა.
- მრავალფეროვან საერთაშორისო ბაზებზე წვდომა სათანადო ლიცენზიით დადგენილი წესების დაცვით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული ერთიანი საუნივერსიტეტო ბიუჯეტი და პროგრამის საბიუჯეტო ფონდი. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის უზრუნველსაყოფად საჭირო ფინანსური რესურსები ინტეგრირებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში.

ამასთან, ცალკეა წარმოდგენილი სოციოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც საკმაოდ დეტალიზებულია. უშუალოდ ამ პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს:

- ✓ სწავლებასთან დაკავშირებულ სახელფასო ხარჯებს;
- ✓ ლიტერატურისა და სხვა საბიბლიოთეკო რესურსის ხარჯებს;
- ✓ პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯებს;
- ✓ ინფრასტრუქტურის განახლება-მოვლის ხარჯებს;
- ✓ სასწავლო მასალებისა და სამეცნიერო მიზნით გაწევის ხარჯებს;
- ✓ ექსპედიციების, საკონფერენციო ხარჯებს;
- ✓ მიმდინარე საოფისე ხარჯებს;
- ✓ აკრედიტაციისა და განვითარების ხარჯებს.

ამავე დროს, ცალკეა წარმოდგენილი გაუთვალისწინებელი ხარჯები. მართალია, რჩება წარმოდგენა, რომ შეიძლება საკონფერენციო ხარჯებისთვის განსაზღვრული ხარჯები არ

იყოს საკმარისი საკონფერენციო თუ კვლევითი აქტივობებისთვის, მაგრამ გაუთვალისწინებელი ხარჯებით შეიძლება გარკვეულწილად შეივსოს აუცილებელი ხარჯები. ძირითადად, გათვალისწინებულია პროგრამის კონკრეტული საჭიროებები და ჩანს, რომ ისინი ეკონომიკურად მიღწევადია. ვფიქრობთ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ფინანსურად სტაბილური და მდგრადია, ხოლო ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსები, მთლიანობაში, ფარავს პროგრამის საჭიროებებსა და მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი (ხელმისაწვდომია ფინანსურ სამსახურში); ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის მომზადებული დოკუმენტაციის გაცნობის, ასევე ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად გაირკვა, რომ შიდა ხარისხის შეფასებისთვის სოციოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი და სწავლებაში ჩართული პერსონალი, უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, თანამშრომლობს უნივერსტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან - პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების მიზნით. შესაბამისი პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნვლყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში. თვითშეფასების პროცესში შიდა ხარისხის შეფასების ჯგუფი ითვალისწინებს სხვადასხვა მეთოდით მოპოვებული მონაცემების შედეგებს, რათა განისაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევადობა, სამიზნე ნიშნულებთან მათი შესაბამისობა. ასევე, როგორც შესწავლილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, შიდა ხარისხის შეფასებისას გამოყენებულია სტუდენტთა, პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის, ასევე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი. აღნიშნულზე დაყრდნობით, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლებაში ჩართულ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავებს შიდა თვითშეფასების ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია საანგარიშო პერიოდში თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები; ამასთან, შეიმუშავებს პროგრამული ცვლილებების პაკეტს ანალიზის საფუძველზე. შემუშავებული თვითშეფასების ანგარიში განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, უზიარებს საკუთარ რეკომენდაციებსა და ხედვებს პროგრამის ხელმძღვანელსა და სწავლებაში ჩართულ პერსონალს. სწორედ ამ უკუკავშირის საფუძველზე ხდება თვითშეფასების ანგარიშის დახვეწა და შეჯერებული ვერსიის წარდგენა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის.

ამდენად, პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტის და უსდ-ის ხარისხის სამსახურთან ერთად, *გეგმავს* პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესს და შეიმუშავებს შეფასების ინსტრუმენტების, რასაც მოსდევს თვითშეფასების *განხორციელების* ეტაპი, რომლის დროსაც გათვალისწინებულია სხვადასხვა მეთოდით მოპოვებული მონაცემების, მათ შორის, სტუდენტური გამოკითხვის შედეგები. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამის სხვადასხვა ასპექტის *შემოწმება* ხდება და მისი შემდგომი *განვითარების* მიზნით, სათანადო ცვლილებები იგეგმება. შესაბამისად, პროგრამა მისდევს პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე."

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებელთა კვლევის შედეგები;
- გარე ექსპერტის კოლეგიალური შეფასება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს დებულების მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით დადგენილია სამსახურის ამოცანები და ფუნქციები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია, გარდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმისა, გარე მექანიზმების შემუშავებაში, რათა სწავლებისა და კვლევის ხარისხი გაუმჯობესოს. უშუალოდ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებისთვის უნივერსიტეტმა დაგეგმა პოტენციურ დამსაქმებელთა აზრის კვლევა, რაც განახორციელეს პროგრამის ხელმძღვანელმა და თვითშეფასების ჯგუფმა. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობის შესამოწმებლად შეგროვდა თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები. სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები და რამდენიმე გარე ექსპერტი, რომლებსაც წინასწარ გადაეგზავნათ განსახილველი პროგრამა. ამის შედეგად უნივერსიტეტმა მიიღო მათგან წერილობითი ფორმით უკუკავშირი. გარე ექსპერტიზისთვის პროგრამა გადაეცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს. გარე ექსპერტიზის ფარგლებში აღინიშნა, რომ სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის შინაარსობრივი თანაფარდობა დაცულია, სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს საფუძვლიან კვალიფიკაციას როგორც თანამედროვე სააზროვნო პარადიგმების, ისე სოციოლოგიური თეორიებისა და სოციალოგიური კვლევის მეთოდების მიმართულებით. გარე შეფასების მიხედვით, სტუდენტი შეძლებს, სავალდებულო ბაზისს დააშენოს დარგობრივი სოციოლოგიისა და მომიჯნავე სოციალური მეცნიერებების არჩევითი კურსები. ამასთან, აღინიშნა ერთი შენიშვნა საბაკალავრო ნაშრომის დაწერის თავისუფლებასთან დაკავშირებით, რადგან, გარე შემფასებლის თქმით, საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს აძლევს მთელი სწავლის პერიოდში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის ასპარეზს, მაგრამ, ამავე დროს, შესაძლოა, საბაკალავრო ნაშრომის შესრულების არასავალდებულო კომპონენტად მოაზრებას თავისი გამართლებაც ჰქონდეს. მეორე გარე ექსპერტმა, რომელიც პროგრამის პოტენციური დამსაქმებელია, დასვა საკითხი კვლევის მეთოდების სამი სავალდებულო ზოგადი კურსის საჭიროების შესახებ, თუმცა სამუშაო ჯგუფმა უცვლელად დატოვა ეს ნაწილიც. ამასთან, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად უნივერსიტეტმა გადაამუშავა პროგრამა, 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით (გადაწყვეტილება N85, 30.09.2011). ამ რეკომენდაციების შესაბამისად, ამჟამად უკვე პროგრამას ხელმძღვანელობს აკადემიური ხელმძღვანელი, რომელსაც მდიდარი პროფესიული და სამეცნიერო გამოცდილება აქვს; ასევე, პროგრამას ჰყავს ორი საკონტაქტო პირი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი და კოორდინატორი. გარდა ამისა, ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, რათა შრომის ბაზრის მოთხოვნები შესწავლილიყო. ზემოთ დასახელებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავებულია სილაბუსების ერთიანი ფორმა, მაგრამ თუ გადავხედავთ სილაბუსებს, ჩანს ამ ნაწილში პრობლემა, კერძოდ, საგნის „კვლევა, როგორც პროექტი“ სილაბუსში მე-8 პუნქტი არის „სასწავლო კურსის მიზანი“, მე-9 პუნქტი - „სწავლის შედეგები და კომპეტენციები“, მე-10 კი - „ძირითადი თემები“;

სასწავლო კურსის „კლასიკური სოციოლოგიური თეორიები“, მე-8 პუნქტი არის „სასწავლო კურსის მიზანი“, მე-9 პუნქტი - „ძირითადი თემები“, მე-10 პუნქტი - „სწავლის შედეგები და კომპეტენციები“... ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის გვერდები მითითებულია, ზოგიერთგან - არა. ამასთან, ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებულია ასახსნელი თემა და მის ფარგლებში განსახილველი საკითხების მოკლე ჩამონათვალი (სტრუქტურა), რაც, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ზოგიერთ სილაბუსში მხოლოდ დასათაურებაა, ისიც ძალიან ზოგადი.

გარე ხარისხის შეფასების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევების მონაცემებს, შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველო, GORBI, სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი, კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში და სხვ.). ისინი მიიჩნევენ, რომ სასურველია პრაქტიკული კომპონენტისა და მეთოდოლოგიის სწავლების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება. როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგებიდან გამოჩნდა, ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებები უკვე განხორციელდა და პროგრამის არსებული ვერსია პრაქტიკული კომპონენტებით მეტად გაძლიერდა, ვიდრე წინა ვერსია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი გათვალისწინებულია. თუმცა, გარე ექსპერტული შეფასების თვალსაჩინო ნაწილი გათვალისწინებული არ არის. ამდენად, პროგრამის დასახვეწად მნიშვნელოვანია დარგის წარმომადგენლებისა და პოტენციური დამსაქმებლების რეკომენდაციების მეტად გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- გარე ექსპერტის კოლეგიალური შეფასება;
- აკრედიტაციის ექსპერტთა 2011 წლის დასკვნა/ოქმი (გადაწყვეტილება N85, 30.09.2011);
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებელთა კვლევის შედეგები;
- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის დახვეწის მიზნით, გარე ექსპერტული შეფასებების სათანადოდ გათვალისწინება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ვიზიტის შედეგებიდან გამოიკვეთა, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება უსდ-ის ცენტრალური ხარისხის სამსახურის, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლების მიერ. მართალია, თვითშეფასების ჯგუფში არ იყვნენ ჩართულნი სტუდენტები და კურსდამთავრებულები, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ნათელია, რომ სტუდენტები პროგრამის მონიტორინგის პროცესში მონაწილეობენ, თუნდაც კურსების სემესტრული შეფასებით. ასევე, აღსანიშნავია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც 2020 და 2021 წლებში ჩატარდა როგორც კითხვარის, ისე ფოკუსჯგუფების საშუალებით. გარდა ამისა, სტუდენტებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, რომ ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ითვალისწინებენ მათ რეკომენდაციებს და უკუკავშირს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე, რის საფუძველზეც პროგრამაში გარკვეული ცვლილებები შედის. მაგალითად, პროგრამისთვის მეტი პრაქტიკული კურსის დამატება, მონაცემების დამუშავების პროგრამების სწავლებაზე მეტი აქცენტირება და ა.შ. როგორც პუნქტი 5.2 ადასტურებს, პროგრამა იყენებს გარე კოლეგიალურ შეფასებას, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების პროფესორმა და პოტენციურმა დამსაქმებელმა განახორციელეს. აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის სამსახურთან ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ

პროგრამის ფარგლებში მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ხდება, მათ სადემონსტრაციო ლექციებზე კოლეგების და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების დასწრებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ პირობებში, როცა პროგრამის მოწვეული პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი მაგისტრის ხარისხის მქონეა და სწორედ მოწვეული პერსონალი კითხულობს, უმეტეს შემთხვევაში, დარგობრივი სოციოლოგიის კურსებს. მართალია, ამ პრაქტიკას ადგილი აღარ ჰქონია პანდემიის პირობებში, მაგრამ პროგრამის წარმომადგენლები კვლავ გეგმავენ მის აღდგენას. როგორც აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის სამსახურთან ინტერვიუს შედეგებიდან გამოვლინდა, პერიოდულად ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება მოხდეს. აქვე აღსანიშნავია, რომ, „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ონლაინ შეხვედრების, ონლაინ სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) განიხილება ადამიანის პერსონალურ მონაცემებად. შესაბამისად, პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა აისახოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების შესახებ წესში. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის თაობაზე. მართალია, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს „სტრატეგიები დისტანციური სწავლების დროს გამოცდებზე აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის პრევენციისთვის“, მაგრამ, გარდა გამოცდებისა, სასწავლო პროცესი მოიცავს ლექციებს, სემინარებს და შეიძლება შეეხოს საკონსულტაციო შეხვედრებს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ამიტომ კარგი იქნება, უნივერსიტეტის მიერ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით რეკომენდაციებმა მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ○ ელექტრონული სისტემა არგუსი, რომელიც უზრუნველყოფს არჩევანის გარემოს (http://argus.iliauni.edu.ge); ○ პროგრამის განხორციელების შეფასების წესი; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; ○ დამსაქმებელთა კვლევის შედეგები; ○ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ გარე ექსპერტების კოლეგიალური შეფასება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი, შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული რეკომენდაციები, რათა პანდემიის პირობებში არსებული გამოწვევები სათანადოდ მართოს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლია წულაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ფლორა ესებუა

მიხეილ ბიჭია

ნანა ფირცხელანი